

2011 წლის 15 ნოემბერი

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

15 ნოემბერი , 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 20:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე),
ცისმარი ონიანი, იმედა დვალიძე, გოჩა სვანიძე, იოსებ ბარათაშვილი, ზვიად კორძაძე,
მალხაზ ჯანგირაშვილი.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება;
2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება;
3. ს.ს.ი.პ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან შემოსული შეთავაზების შესახებ სამართლის სფეროში განათლების განვითარებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების მიზნით ადვოკატთა ასოციაციისთან მემორანდუმის გაფორმების თაობაზე;
4. მოხსენება საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მოსამზადებელი ჯგუფის ვიზიტის შესახებ ნიდერლანდების სამეფოში (მომხსენებელი იოსებ ბარათაშვილი);
5. გიორგი მიქავას განცხადება ადვოკატთა საშემოდგომო საკვლიფიკაციო ტესტირებაში დაგვიანებით რეგისტრაციის შესახებ
6. გივი ხერკელაძის განცხადება უფლებამოსილების აღდგენის და საწევროსგან გათავისუფლების შესახებ;
7. კრების დღის წესრიგზე მსჯელობა და კრების რეგლამენტის დამტკიცება;
8. ასოციაციის ბიუჯეტში გათვალისწინებული სამიველინეო ხარჯებიდან თავმჯდომარის ვიზიტისთვის 2000 ლარის გამოყოფის შესახებ (ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს პლენარულ სესიაზე დასასწრებად, 2011 წლის 25-26 ნოემბერი).
9. ასოციაციის 2012 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ

10. ხელშეკრულების გაფორმება IT მენეჯერთან

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწვევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე;
 - ა). მერაბ დადელაშვილის და ზვიად სურმანიძის განცხადებების განხილვა ხელახალი გაწვევრიანების გადაიდოს მათ მიერ ნასამართლეობის ცნობის წარმოდგენამდე;
 - ბ). ვერა ჩაგუნავას განცხადების განხილვა ასოციაციაში გაწვევრიანების შესახებ გადაიდო საბჭოს შემდგომი სხდომისთვის
2. გიორგი მიქავას განცხადება ადვოკატთა საშემოდგომო საკვლიფიკაციო ტესტირებაში დაგვიანებით რეგისტრაციის შესახებ დაკმაყოფილდეს და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს აღნიშნულ პირს.
3. დაკმაყოფილდეს გივი ხერკელაძის განცხადება უფლებამოსილების აღდგენის ნაწილში 2011 წლის საწვევრო დავალიანების გადახდის გარეშე, ხოლო მომდევნო 2012 წლის საწვევროს გადახდის ვალდებულება დარჩეს უცვლელი აღნიშნული პირის მიმართ და დარეგულირდეს ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 ქვეპუნქტის თანახმად. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს გივი ხერკელაძეს.
4. 2011 წლის 10-11 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტი დამტკიცებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი სახით.
5. 2011 წლის 25-26 ნოემბერს ანტვერპენში თავმჯდომარის ვიზიტისთვის (ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პლენარულ სესიაზე დასასწრებად), ასოციაციის ბიუჯეტში გათვალისწინებული სამივლინებო ხარჯებიდან გამოყოფილ იქნას 2300 ლარი. შევიდეს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის ბიუჯეტში.
6. დამტკიცდეს ასოციაციის 2012 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით (დანართი №1).
7. ბექა გოგსაძეს გაუფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ორი თვის გამოსაცდელი ვადით, ხოლო აღნიშნულ შტატის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 200 ლარის ოდენობით.
8. საბჭოს სხდომები ჩატარდეს ყოველი თვის ბოლო პარასკევს, 18:00 საათზე.

ზაზა ხატიაშვილი

ასოციაციის თავმჯდომარე